



მოგესალმებით,

ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის მორიგ ანგარიშს წარმოგიდგენთ. ანგარიშში ეროვნული ბანკის პროგნოზები და მიმდინარე მაკროეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ანალიზი დეტალურად არის წარმოდგენილი. ანგარიშში ასევე ამომწურავად არის ახსნილი მონეტარული პოლიტიკის მიმდინარე გადაწყვეტილების მიზეზები.

ინფლაცია დღეს გლობალური გამოწვევაა. რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა, მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდაა. ბოლო პერიოდში, გარკვეული სტაბილიზაციის მიუხედავად, მსოფლიო სასაქონლო ბაზრებზე ფასები კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში მაღალი ინფლაციის მნიშვნელოვანი მიზეზია.

ივლისში ინფლაციამ 11.5% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 7.0%-ს გაუტოლდა.

ამის პარალელურად, საქართველოს ეკონომიკა სწრაფი ტემპით ზრდას განაგრძობს, რისი მნიშვნელოვანი ხელშემწყობიც ბოლო თვეებში ფულადი გადმორიცხვების რეკორდული დონე, აღდგენილი ტურიზმი და გააქტიურებული საკრედიტო აქტივობაა. წინასწარი მონაცემებით, წლის პირველ ნახევარში ეკონომიკა 10.5%-ით გაიზარდა. მიმდინარე ტენდენციებიდან გამომდინარე, ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 9%-მდე გაზარდა. ეროვნული ბანკის პროგნოზით, ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძლიერი შიდა მოთხოვნა და აღდგენილი ტურიზმი იქნება.

ჩვენი შეფასებით, მიმდინარე ეკონომიკური აქტივობის დონე ეკონომიკის ჯამური წარმოების პოტენციალს აჭარბებს, რაც დამატებით ინფლაციურ რისკებს წარმოქმნის. ინფლაციურ რისკებს ის ფაქტიც ამწვავებს, რომ ერთმანეთის მიმყოლი შოკების ფონზე ინფლაცია მისი მიზნობრივი მაჩვენებლიდან ხანგრძლივად არის გადახრილი. სწორედ ამ მიზეზების გამო, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებულია.

ეროვნულმა ბანკმა 3 აგვისტოს სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად, 11%-ზე, დატოვა. მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად, საკრედიტო აქტივობა წლის განმავლობაში კვლავ მაღალია, რაც, ერთი მხრივ, სამომხმარებლო, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოური ვალუტით დაკრედიტების ჭარბი ზრდის შედეგია. შესაბამისად, სამომხმარებლო დაკრედიტების შესანელებლად,

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის პარალელურად, მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების გამოყენება. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, საშუალოვადიან პერიოდში, ინფლაციას 3%-იან სამიზნე მაჩვენებელთან დააბრუნებს. ინფლაციის კლებასთან ერთად კი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად შემცირდება. გასათვალისწინებელია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის პროგნოზი მონეტარული პოლიტიკის მომავალ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის დაპირება არ არის. ის, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის საორიენტაციო ტრაექტორიას ასახავს. გლობალურად გაურკვეველობა მაღალია, მსოფლიო ეკონომიკის ახალი მოვლენების განვითარებასთან ერთად, გლობალური ეკონომიკური მდგომარეობა იცვლება და ეროვნული ბანკის მიერ პოლიტიკის გაანალიზება ხელახლა ხდება, რაც საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკის მომავალ გადაწყვეტილებებზეც ახდენს გავლენას.

გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად და გლობალური ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციის შემთხვევაში, ინფლაცია ეტაპობრივად შემცირებას დაიწყებს და 2023 წლის მეორე ნახევარში სამიზნე 3%-იან მაჩვენებელს დაუბრუნდება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად აკვირდება ეკონომიკურ ტენდენციებს, მათი ანალიზის საფუძველზე პროგნოზებს ანახლებს და დაინტერესებულ საზოგადოებას მონეტარული პოლიტიკის განახლებულ ანგარიშს წარუდგენს.

გმადლობთ ყურადღებისათვის!